## საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 249

2019 წ. "17" 12

ქ.თბილისი

### შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ თუ აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

თავმჯდომარე

მდივანი

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 19 ივნისს შპს - საქართველოს უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №03-5985 (ცენტრში რეგისტრაციის №805638, 2019 წლის 20 ივნისი) სააკრედიტაციო განაცხადი „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 24 ივლისის №642 ბრძანების საფუძველზე, შპს - საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 18 სექტემბრის №847 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 30 სექტემბერს და 01 ოქტომბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს - საქართველოს უნივერსიტეტში, ხოლო 2019 წლის 10 დეკემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | ✓ | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა

თავმჯდომარე

მდივანი

ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 17 დეკემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

2.5. საბჭომ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და ასევე, მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მაძიებელს დამატებით უნდა მიეცეს შემდეგი რეკომენდაცია:

ა) განახლდეს ლიტერატურა „სანივთო სამართლის", კანონისმიერ ვალდებულებათა ურთიერთობების", „სამეწარმეო სამართლის", „სადაზღვევო სამართლის", „სახელშეკრულებო სამართლის" სილაბუსებში. ასევე, მოწესრიგდეს „კრიმინალისტიკის" და „სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის რეპეტიტორიუმის" სილაბუსები.

**3. სარეზოლუციო ნაწილი**

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

**გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს შპს - საქართველოს უნივერსიტეტის 2019 წლის 19 ივნისის №03-5985 (ცენტრში რეგისტრაციის №805638, 2019 წლის 20 ივნისი) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2019 წლის 17 დეკემბრის №68 სხდომის ოქმის №05 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. გაზიარებულ იქნეს და დაემატოს შემდეგი რეკომენდაციები:

ა) სასწავლო კურსის დაგეგმვისას და მისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც საკონტაქტო, ასევე არა საკონტაქტო საათები, რომელთა მოცულობა და მათ შორის თანაფარდობა უნდა იყოს სტუდენტის სასწავლო დატვირთვის, კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობისა და სირთულის, კურსის ფარგლებში გამოსაყენებელ სწავლა-სწავლების მეთოდების რელევანტური. საბაკალავრო პროგრამაში მოცემული ყოველი სასწავლო კურსები 6 კრედიტიანია, შესაბამისად, გადაიხედოს კრედიტების განაწილების საკითხი;
ბ) იმისათვის რომ შეფასება იყოს ობიექტური, სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე, საბაკალავრო პროგრამის ყველა სილაბუსში მკაფიოდ და ამომწურავად გაიწეროს შეფასების მეთოდები და

თავმჯდომარე

მდივანი

კრიტერიუმები. მიზანშეწონილია რომ სტუდენტს წინასწარ ჰქონდეს ინფორმაცია შეფასების ფორმების, კრიტერიუმების და მეთოდების შესახებ;

გ) 4.1. ქვესტანდარტთან მიმართებით აუცილებელია, დატვირთვის შედგენის წესის შემუშავება და დანერგვა, დატვირთვის სქემის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა;

დ) გაძლიერდეს უნივერსიტეტის მუშაობა პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მუშაობის მიმართულებით. სასურველი იქნება შპს - საქართველოს უნივერსიტეტმა გააღრმავოს მის მიერ დამკვიდრებული დადებითი პრაქტიკის მიმართულებით მუშაობა (იგულისხმება გამოქვეყნებული სტატიების პრემირება) და თუნდაც არა ფინანსურად წაახალისოს ადგილობრივ პროექტებში ჩართულობაცა და ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნებაც;

ე) აღსანიშნავია, რომ პერსონალის ზრდის მიმართულებით უნივერსიტეტის მხრიდან შეფასების მექანიზმი არ მუშაობს სრულყოფილად. შესაბამისად მიზანშეწონილია ამ მიმართულებით სათანადო კონცეფციის ჩამოყალიბება და სამუშაოს ჩატარება;

ვ) უზრუნველყოფილ იქნეს უნივერსიტეტის პერსონალის პირადი საქმეების სრულყოფა. სახელმწიფო ენაზე, განახლებული და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ერთიანი ფორმის რეზიუმეები დაეხმარება საქართველოს უნივერსიტეტს დააკვირდეს პერსონალის განვითარებას და საჭიროების შემთხვევაში ხელი შეუწყოს მას;

ზ) 5.2. ქვესტანდარტთან მიმართებით, აუცილებელია გარე შეფასებებზე რეაგირების მკაფიოდ ჩამოყალიბებული ინსტრუქცია/წესის შემუშავება და დანერგვა;

თ) განახლდეს ლიტერატურა „სანივთო სამართლის“, კანონისმიერ ვალდებულებათა ურთიერთობების“, „სამეწარმეო სამართლის“, „სადაზღვევო სამართლის“, „სახელშეკრულებო სამართლის“ სილაბუსებში. ასევე, მოწესრიგდეს „კრიმინალისტიკის“ და „სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის რეპეტიტორიუმის“ სილაბუსები.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე - 2020 წლის 30 ივნისამდე.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს (2019 წლის 27 დეკემბერი).

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის $24^1$ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი

საბჭოს მდივანი ნინო ლიპარტია

*დანართი №1*

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | სამართალმცოდნეობა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[2] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 24 დეკემბერი, №301 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3] | სამართალმცოდნეობა |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[4] | ბაკალავრიატი |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[5] | მეექვსე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | სამართლის ბაკალავრი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0421 სამართალი |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[7] | 0421 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი[8] | საქართველო, 0171, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა №77ა |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2019 წლის 27 დეკემბერი |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9] | ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 6 თვე (2020 წლის 30 ივნისამდე) |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2026 წლის 28 დეკემბერი |

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი